



## Agile with Scrum

კურსის ხანგრძლივობა: 10 ლექცია, 20 საათი.

**კურსის მიზანი:** მონაწილეებს მისცეს Agile-ის და Scrum-ის ჩარჩოს შესახებ საკმარისი ცოდნა, რაც საჭიროა კომპლექსურ გარემოში პროექტების და პროდუქტების ეფექტურად მართვისთვის. ასევე, მონაწილეებმა შეიქმნან მყარი საფუძველი, ამ მიმართულებით პროფესიული განვითარებისთვის.

**აუცილებელი მოთხოვნები:** პროექტების / პროდუქტების შექმნის პროცესში მონაწილეობის გამოცდილება და ინგლისური ენა B2 დონეზე, შესაბამისი რესურსების გასააზრებლად.

**კურსის შედეგები:** კურსდამთავრებულები შეძლებენ Agile-ის და Scrum-ის ჩარჩოს დანერგვას და მისი გამოყენებით, პროექტის სრული სასიცოცხლო ციკლის მართვას, მათ შორის, პროდუქტის ინიცირებას, პროდუქტის მოთხოვნების Agile ბეჭლოვად გადაქცევას, პროექტირებას და დაგეგმვას, პროექტის იტერაციულ მართვას, პროგრესის გაზომვას და ა.შ. ასევე, დამატებით პრაქტიკებს და ინსტრუმენტებს, რაც დაეხმარება პროექტების ეფექტურ მართვაში.

ასევე, ამ მიმართულებით კარიერის განვითარების სურვილის შემთხვევაში, კურსდამთავრებულები შეძლებენ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას და სერტიფიცირებისა და ტექნიკური გასაუბრებისთვისთვის სწორად მომზადებას;

### შეხვედრა 1 - გაცნობა, შესავალი AGILE-ში

- რას ვისწავლით კურსის განმავლობაში? (თემების ჩამოთვლა/გაცნობა, სტუდენტების მოლოდინები, მოლოდინების განხილვა);
- როგორ შეიქმნა Agile-ი? (ისტორია, წინაპირობა, adaptive vs predictive);
- რა არის Agile-ი? (ინსტრუმენტი vs მიზანი, მაინდსეტი, მანიფესტი, ღირებულებები და პრინციპები / სავარჯიშო);
- როგორია Agile-ის პოპულარობა დღეს? (ინდუსტრია, პროფესიები, რეინჯები, განვითარების ჯაჭვი).

### შეხვედრა 2 - AGILE გარემო, AGILE ფრეიმვორკების მიმოხილვა

- როდის გამოვიყენოთ Agile-ი? (Agile-ის საჭიროება, Agile-ისთვის საჭირო გარემო, Agile-ის დანერგვისთვის სწორი მიდგომა);
- როგორია Agile გუნდის / ორგანიზაციის სტრუქტურა? (feature team vs component team, ჰორიზონტალური vs ვერტიკალური, დელეგირება vs კონტროლი, დელეგირების დონე);
- რომელია Agile-ის პოპულარული ფრეიმვორკები და რა განსხვავება და მსგავსებაა მათ შორის? (Scrum vs Kanban, Scrum და Kanban-ის კავშირი, სავარჯიშო).

### შეხვედრა 3 - პროდუქტი, პროდუქტის ბეჭლოვი

- რა არის პროდუქტი?
- რისი მომზადებაა საჭირო პროდუქტის ინიცირებისთვის? (პროდუქტის მიზანი, მომხმარებელი, ჩართული მხარეები, ...);

- როგორია პროდუქტის ბეჭლოგი Agile-ში?
- რა არის Epic, User Story, Task და როგორ ვიყენებთ? (INVEST მოდელი, Who what why / სავარჯიშო).

#### შეხვედრა 4 - პროექტი, პროექტირება AGILE-ში

- რა არის პროექტი?
- რა განსხვავებაა პროდუქტს და პროექტს შორის და რა კავშირია?
- როგორია პროექტი ეჯაილში? (დროის, ბიუჯეტის, მოთხოვნების, რისკების, კომუნიკაციის მართვა);
- როგორ ხდება პროექტირება? რა არის MVP? (User Story Mapping);
- რა მნიშვნელობა აქვს პრიორეტიზაციას და რა პრიორეტიზაციის მიდგომები გამოიყენება? (moscow, WSJF,... / სავარჯიშო).

#### შეხვედრა 5 - SCRUM-ის შესავალი

- როგორ შეიქმნა Scrum-ი? (წინაპირობა, საფუძველი, ისტორია);
- რა არის Scrum-ი? (Scrum Guide, Scrum-ის საყრდენები, ღირებულებები, ... / სავარჯიშო);
- როგორ ერგება Scrum-ი Agile ფილოსოფიას?
- რა არის Scrum-ის დანერგვის წინაპირობა? (Scrum გუნდის გარემო, პროდუქტის სპეციფიკა).

#### შეხვედრა 6 - SCRUM-ის შემადგენლობა, SCRUM-ი პრაქტიკაში

- როგორ მუშაობს Scrum-ი ერთობლიობაში? (Scrum one pager);
- რა არის სპრინტი?
- Scrum-ის თამაში და განხილვა.

#### შეხვედრა 7 - SCRUM-ის როლები და ცერემონიები

- Scrum-ის როლები (პროდაქტ ოუნერი, Scrum მასტერი, დევ გუნდი, Do's and Dont's );
- Scrum-ის ცერემონიები (ფლენინგი, დეილი, რევიუ, რეტრო).

#### შეხვედრა 8 - SCRUM-ის არტეფაქტები, შეფასება SCRUM-ში

- რა არტეფაქტები არის Scrum-ში? (პროდუქტის ბეჭლოგი, სპრინტის ბეჭლოგი, ინკრემენტი);
- რა არის DoR და DoD და როგორ გამოიყენება?
- რა არის პოპულარული შეფასების ტექნიკები Scrum გუნდებში? (შედარებითი vs აბსოლიტური შეფასება, Story Point-ები, ფიბონაჩი).

#### შეხვედრა 9 - SCRUM-ის მეტრიკები, ინსტრუმენტები

- როგორ ვზომავს Scrum-ში პერფორმანსს და როგორ ვიყენებთ მათ? (Velocity, Burndown Chart და სხვა);
- რა ინსტრუმენტებს იყენებენ Scrum გუნდები? (დაფა vs Jira, Jira Demo, Trello, Asana, ...);
- Scrum Guide 2020.

#### შეხვედრა 10 - კარიერა AGILE-ის / SCRUM-ის მიმართულებით, ტრენინგის შეჯამება

- რა სერთიფიკატებია Agile-ის / Scrum-ის მიმართულებით? (PMI-ACP, PSM, PSPO);
- Professional Scrum Master I-ის ტესტები;
- როგორ განვავითაროთ კარიერა Agile-ის / Scrum-ის მიმართულებით? (რა მოთხოვნები აქვთ, როგორ მოვემზადოთ გასაუბრებისთვის);
- ტრენინგის რეტროსპექტიული შეჯამება.